



მონაწილეთა რეგისტრაცია ტრენინგ-სემინარზე:

ბათუმი, 4 აპრილი 2015

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/GYLA და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი/CIPDD იწვევენ სტუდენტებს ტრენინგ-სემინარში **ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხობრივი გაუმჯობესება** მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი ჩატარდება 2015 4 აპრილს ქალაქ ბათუმში, 10:00-18:00.

ტრენინგი ტარდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის *საქართველოსა და ევროკავშირის შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა* ფარგლებში.

ტრენინგები*: ლალი მიქელაძე და ნინო არაბული.

ტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა
- არსებული სიტუაცია, გამოწვევები და პერსპექტივები
- ტურისტული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაციები
- ტურისტული ხელშეკრულებითი სამართლის როლი ტურიზმის განვითარებაში
- მოგზაურობის მომწყობის ვალდებულებები
- საერთაშორისო ტუროპერირება
- დესტინაციის იმიჯი
- საქართველოს, როგორც ტურისტული დესტინაციის იმიჯი გერმანულ ბაზარზე

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ტურიზმის ან თემატურად დაკავშირებული სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს! პროექტი არ ფარავს მგზავრობის და სასტუმროში განთავსების ხარჯებს!

მონაწილეობის მსურველებმა 2015 წლის 26 მარტამდე შემდეგ მისამართზე migration@cipdd.org უნდა გამოაგზავნონ:

- CV
- სამოტივაციო წერილი (რატომ სურს მონაწილეობის მიღება და როგორ გამოიყენებს მიღებულ ცოდნას)

პროექტის გუნდი დაუკავშირდება მხოლოდ შერჩევის შემდეგ ეტაპზე გასულ კანდიდატებს და გასაუბრების საფუძველზე შეარჩევს მონაწილეებს.

ტრენინგის ბოლოს გაიცემა მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ტელ: +995 5 77 50 64 36



სემინარი ტარდება მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის/საია ერთობლივი პროექტის **"ევროკავშირისა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა"** ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

* ტრენერების შესახებ:

ლალი მიქელაძე:

- ტურიზმის დარგობრივი ექსპერტი - მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების სამინისტრო
- ლექტორი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი IBSU
- ლექტორი - ტურიზმის მრავალდარგოვანი კოლეჯი-ტუროპერატორის პროგრამის ხელმძღვანელი
- ლექტორი - ილიაუნი

ნინო არაბული:

- შიდა და შემომყვანი ტურების მენეჯერი - ტურისტული კომპანია Travelshop-ის
- დამფუძნებელი და მენეჯერი - "არაბული ArtHouse" ხევისურეთში მშენებარე კულტურის და სასტუმრო სახლის
- თანადამფუძნებელი - საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი. ცენტრი ფუნქციონირებს კავკასიის ბიზნეს სკოლის ბაზაზე და ამჟამად ახორციელებს ტაო-კლარჯეთის კატალოგის გამოცემის პროექტს რუსთაველის ფონდის 3 წლიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში.

